საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №102
2018 წლის 27 ივნისი

ქ. საჩხერე

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პიველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმები, თანდართული დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 მარტის №17 დადგენილება (სსმ, ვებგვერდი, 27/03/2015წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.130.016145).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ივანაშვილი